MIA 7 23 00978779

06/04/2023

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N1

სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
თია მელაძე

სატენდერო კომისიის წევრები:
მაია მანგოშვილი, აკაკი ხარებავა, დავით სამთელაძე, სოფიკო ვაჩეიშვილი, თენგიზ ხანიაშვილი, რატი მემანიშვილი, ილია აფციაური.

სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული სპეციალისტები:
ადამურ არქანია, მაია ნასარაია, გიორგი აბესაძე, აკაკი ჩოფლიანი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
დალი გულუაშვილი

სხდომას არ ესწრებოდა სატენდერო კომისიის წევრი:
გია გორგიაშვილი - დაგეგმილი შეხვედრების გამო.

დღის წესრიგი:
2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, **შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, ქ. ამბროლაურში ახლად გარემონტებული ადმინისტრაციული შენობისთვის ტელევიზორების** (CPV-32300000) სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე - NAT) ჩასატარებლად სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს და განიხილეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრის დალი გულუაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის N533470 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მომზადებული, სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი:
ა) სატენდერო განცხადების პროექტი;
ბ) სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომლის რეგისტრაცია დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის წევრებმა და სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულმა სპეციალისტებმა განიხილეს შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობები და აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. სატენდერო კომისიის წევრებმა და სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულმა სპეციალისტებმა მსჯელობის შემდეგ მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

რაც შეეხება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას, შსს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ბაზრის შესწავლის, დაგეგმვისა და ანგარიშგების განყოფილების მიერ განხორციელდა ბაზრის შესწავლა და ტექნიკური დოკუმენტაცია გადაეგზავნა 23 (ოცდასამი) კომპანიას. შეთავაზებაზე დაინტერესება გამოთქვა და წინადადება წარმოადგინა სამმა კომპანიამ:

პრეტენდენტი 1 - წინადადების ჯამური ღირებულება - 7 191 ლარი;
პრეტენდენტი 2 - წინადადების ჯამური ღირებულება - 6 300 ლარი;
პრეტენდენტი 3 - წინადადების ჯამური ღირებულება - 7 209 ლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა სატენდერო კომისიამ და მიიღო გადაწყვეტილება შსს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ბაზრის შესწავლის, დაგეგმვისა და ანგარიშგების განყოფილების 2023 წლის 13 მარტის N700338 სამსახურებრივი ბარათისა და პოტენციური მიმწოდებლების წარმოდგენილი წინადადებების ანალიზის გათვალისწინებით, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს **6 300** ლარით.

კომისიამ დაადგინა:
1. დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი;
2. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
3. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №826 დადგენილებით განსაზღვრული წესის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არსებული სისტემური ღილაკის ("გასაჩივრება") მეშვეობით.

დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
ხარებავა აკაკი

ეკონომიკური დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო
ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილება
მთავარი სპეციალისტი
გულუაშვილი დალი

ლოჯისტიკის დეპარტამენტი
მარაგებით უზრუნველყოფის სამმართველო +
მარაგების უზრუნველყოფის სამსახური
სამეურნეო საქონლის უზრუნველყოფის განყოფილება
მთავარი სპეციალისტი
ჩოფლიანი აკაკი

ლოჯისტიკის დეპარტამენტის
მარაგებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
ადამურ არქანია

ლოჯისტიკის დეპარტამენტის მარაგებით უზრუნველყოფის
სამმართველოს მარაგების უზრუნველყოფის სამსახურის
სამეურნეო საქონლის უზრუნველყოფის განყოფილების
უფროსი გიორგი აბესაძე

ლოჯისტიკის დეპარტამენტის
მარაგებით უზრუნველყოფის სამმართველოს
მარაგების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაია ნასარაია

ლოჯისტიკის დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე
დავით სამთელაძე

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ვაჩეიშვილი სოფიკო

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო
შესყიდვების სამმართველო / ბაზრის შესწავლის,
დაგეგმვისა და ანგარიშგების განყოფილება
განყოფილების უფროსი
მემანიშვილი რატი

ეკონომიკური დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო
ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილება
განყოფილების უფროსი
აფციაური ილია

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
მანგოშვილი მაია

ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო
შესყიდვების სამმართველო
სამმართველოს უფროსის მოადგილე
ხანიაშვილი თენგიზ

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
მელაძე თია